

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

კემეროვოს ოლქი. ციმბირის ქალაქ კემეროვოში ახლახან მწყობრში ჩადგა ახალი საცურაო სპორტული კომპლექსი. აუზას აქვს ორი დარბაზი, აუზი (8800 კუბმეტრი წყლით), რომელსაც ათას კვადრატულ მეტრზე მეტი უჭირავს, 600-ადგილიანი ტრიბუნა, დასვენების ოთახი, საინსტრუქტორო და მედიცინის კაბინეტები, საშხაპეები, ბუფეტი.

აქ ჩატარდება მოცურავეთა საოლქო, ზონალური და საერთაშორისო შეჯიბრებები. აუზი ყოველდღიურად მოემსახურება 700-ზე მეტ კაცს.

• • •

სურათზე: საცურაო აუზის შიდა ხედი.

ფოტო ა. კუზიარინისა (საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 137 (3621)

14 1968 წ. ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 24-ე წელი.

## ფოტო თვალით

მოსკოვი. ივლისის პირველ დღეებიდანვე შეუდგნენ წვრთნას ცსკა-ს მოკეიხტები — სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონები.

წინა პლანზე: ა. ოსიპოვი და ი. მოისეევი (მარჯვნივ).

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).

## სპორტის საათი

◆ მოსკოვი, 13 ივლისი. გადადებული პარტიის დამთავრებისას კორჩნოიმ და ტალმა 5-5 სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 5:4 კორჩნოის სასარგებლოდ. ბოლო, X პარტიაში მას ყაიმიც ჰყოფნის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩების ფინალში გასასვლელად.

◆ მესინა, 13 ივლისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მესამე ფინალურ მატჩში სძლია ბელგიელებს — 84:34.



## სსრ კავშირის პირველობა კრივში

### გონგი მეხიკოსკენ გვიხმობს

ლენინაკანი, 12 ივლისი (საკდესის სპეც. კორ. ა. ხაჩიკოვანიანი). ქვეყნის ჩემპიონატის წინასწარი შეჯიბრება კრივში 11 წონით კატეგორიაში ჩატარდა. ათ წონაში შარშანდელი ჩემპიონები გამოვიდნენ (მათ შორის არ იყო მხოლოდ ცნობილი სპორტსმენი ო. გრიგორიევი, რომელმაც მწვრთნელად დაიწყო მუშაობა).

შეიძლება ითქვას, რომ მეოთხედფინალში ყველაზე საინტერესო იყო სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში გამარჯვებულის, კიეველი ვ. მუსალიმოვისა (მეორე ქვესაშუალო წონა) და ალმაათელი რ. აბდრახმანოვის შეხვედრა. კიეველმა ქულებით მცირე უპირატესობა მოიპოვა და მოიგო.

მეორე საშუალო წონაში, სადაც ერთ დროს ტოლი არ ჰყავდა ტოკიოს ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონს ვ. პოპენჩენკოს, სპეციალისტები ფავორიტად ასახელებენ დონეცკელ ვ. კაუშმანს. მან დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი ს. სტრუმსკისი, მეოთხედფინალში კი მოუგო კიეველ ა. ტრეტიაკოვს. ამავე წონით კატეგორიაში მოულოდნელი აღმოჩნდა გამოცდილი მოსკოველი მოკრივის ვ. ტარასენკოვის წაგება თანაქალაქელ ა. სამსონოვთან.

მოკრივეები ამ შეჯიბრებას მარათონს ეძახიან. უძლიერესთა სახელები ცნობილი გახდება მხოლოდ ჩემპიონატის მეათე დღეს — 16 ივლისს. მაგრამ ეს საგანგებოდ გაკეთდა. სწორედ ასე ჩატარდება ოლიმპიური ტურნირი მეხიკოში. ლენინაკანიც იმიტომ აირჩიეს შეჯიბრების ადგილად, რომ ბუნებრივი პირობებით მეხიკოს ჰგავს (ქალაქი 1700 მ სიმაღლეზე მდებარეობს).

### ბრინჯაოს მინიმუმი

ლენინაკანი, 13 ივლისი. მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში გამოვლინდნენ უკანასკნელნი იმ 44 ნახევარფინალისტისგან, რომლებმაც, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლები უკვე გაინაღდეს.

მათ რიცხვშია სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონი მსუბუქ წონაში ვ. ბენდალოვსკი (კიევი), რომელმაც კაუნასელი ი. კუზნეცოვი დაამარცხა; შარშანდელი საკავშირო პირველობის ფინალისტი ამავე წონაში ბ. ნიიაზოვი (ტაშკენტი) — მან მოუგო კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს ბ. გორბატოვს (ნოვოსიბირსკი).

ამ წონით კატეგორიაში დებიუტანტთაგან თავი გამოიჩინა ჩებოქსარელმა ვ. სოკოლოვმა, რომელმაც აჯობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორს ტ. ტომაშევიჩს (ვილნიუსი).

პირველ ქვესაშუალო წონაში სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა ვ. ფროლოვმა (მოსკოვი) ფარ-ხმალი დააყრევინა საბჭოთა ქვეყნის ორგზის ჩემპიონს ვ. ქარიმოვს (კიევი).

ქვემძიმე წონაში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ ევროპის ჩემპიონს დ. პოზნიაკს (ვილნიუსი) და კონტინენტის პირველობის ვერცხლის მედლოსანს ა. კისელიოვს (მოსკოვი). პირველმა მოუგო ბრძოლა საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტს, 23 წლის ვ. ჟაროვს (მოსკოვი), ხოლო მეორემ პატარა უპირატესობით დაამარცხა მ. კრიხმალნი (ლვოვი).

14 ივლისს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები.

## ა. მელაძე — ჩემპიონი.

### საქართველოს გუნდი — მესამე პრიზიორი

დონეცკი, 12 ივლისი. აქ დამთავრდა მოზარდთა ზაფხულის I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა. II ადგილზე დამკვიდრდა უკრაინის გუნდი, ხოლო III — საქართველოს ნაკრები. პირველ ექვსეულში მოხვდნენ, აგრეთვე, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და უზბეკეთის სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით თამაშების ჩემპიონები გახდნენ: შ. შუკლინი (რსფსრ), ა. თერაპეტიანი (სომხეთი), ვ. კოლთსოვი (ლატვია), შ. ხალილოვი (რსფსრ), შ. ხისამუტდინოვი (რსფსრ), ვ. უმეროვი (უკრაინა), ნ. საპრიკინი (რსფსრ), დ. რიბოლთვი (ყირგიზეთი), ა. მელაძე (საქართველო) და ე. როთინე (ესტონეთი).

## კორჩნოი ახლოსაა გამარჯვებასთან

მოსკოვი, 13 ივლისი. პადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის IX პარტია დიდოსტატებს მ. ტალსა და ვ. კორჩნოის შორის 41-ე სვლაზე გადაიდო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვის ამ შეხვედრაში ყაიმი შესაძლოა მატჩში წაგების ნიშანი ყოფილიყო: კორჩნოი ხომ ერთი ქულის უპირატესობას ინარჩუნებს, ხოლო ყველა ოსტატისთვის ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია გადამწყვეტი პარტიის მოგება თანაბარი ძალის მეტოქესთან. ამიტომ იყო, რომ ტალი ესპანური პარტიის კარგად ცნობილ ვარიანტებში ახალ გზებს ეძებდა და ყოველ სვლაზე დიდხანს ფიქრობდა.

სადებიუტო სტადიაში ტალის პოზიცია უფრო მომგებიანი ჩანდა, ხოლო ფიგურები აქტიურად იყო განლაგებული. მაგრამ მე-20 სვლის შემდეგ დაღგა გარდატეხის მომენტი. ტალი დაცვით ტაქტიკაზე გადავიდა და მსუბუქი ფიგურები გაცვალა, რითაც ინიციატივას კორჩნოი დაეუფლა.

გადამწყვეტ მომენტში ლენინგრადელმა დიდოსტატმა კარგად გამოიყენა უპირატესობა. მაზვილგონივრული და ფიგურებით საკვანძო უჯრების ხელში ჩაგდების წყალობით მან მანევრული თამაშის შედეგად ძალიან კარგი პოზიცია მიიღო.

გადადებულ პარტიაში კორჩნოი ინარჩუნებს პოზიციურ უპირატესობას, ეს პარტია დღეს დამთავრდება.

## საგზურები განაწილდა

თბილისში, „დინამოს" საჭადრაკო კლუბში, დასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIX ჩემპიონატში II-IV ადგილებზე გასულთა მატჩ-ტურნირი სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალის ორი საგზურის მოსაპოვებლად. მეტოქეებმა თანაბარი ქულები (2-2) მოაგროვეს და ამიტომ ძალაში შევიდა კოეფიციენტთა ცხრილი, რომლის მიხედვით ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით იყო განაწილებული: 1. ზ. მიქაძე, 2. თ. ლომაია, 3. ა. ბოკუჩავა.

ამრიგად, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მიქაძემ და ლომაიამ.

როგორც ცნობილია, ნახევარფინალში ითამაშებს აგრეთვე საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე.

# ვერა, ნადეჟდა...

სსრ კავშირის მძლეოსნებიდან მსოფლიო რეკორდი წლეულს პირველად ნადეჟდა ჩიჟოვამ დაამყარა, მეორედ — ვერა კორსაკოვამ. მაგრამ თუ ჩიჟოვას სარეკორდო მაჩვენებლები ბირთვის კვრაში არავის აკვირვებს (ნადია მშვიდად, დაბეჯითებით მიიწევდა ამ რეკორდისკენ), კორსაკოვას შედეგი სენსაციური აღმოჩნდა, შეიძლება ყველაზე სენსაციურიც წლევანდელ მძლეოსნურ სეზონში.

— ირინა პრესის მსოფლიო რეკორდი 80 მეტრზე თარჯრბენში ხომ გვეგონა „ზღვარს მიახლოებული?" — ვეკითხებით სსრ კავშირის მწვრთნელს ბ. შჩენიკოვს.

— დიახ, არ ვფიქრობდი, რომ ვინმე უახლოეს წლებში შეძლებდა მის გამეორებას, მით უმეტეს, გაუმჯობესებას. ირინამ ეს მანძილი მხოლოდ ერთხელ გაირბინა 10,3 წამში. უფრო მეტიც, წამზომებმა 10,4 მხოლოდ ორჯერ აღნიშნეს. ეს შედეგი ერთხელ ი. პრესმა აჩვენა, მეორედ — ავსტრალიელმა პ. კილბორნმა, ბოლო სამი წლის მანძილზე კი მას ვერავინ მიუახლოვდა. სპეციალისტები უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ 80 მეტრზე თარჯრბენის 100-მეტრიანი დისტანციით შეცვლის აუცილებლობაზე. ეჩვენებოდათ, 80 მეტრზე ზრდის ყველა შესაძლებლობა ამოიწურაო.

— მაშასადამე, ვერა კორსაკოვამ მარტო ახალი რეკორდი კი არ დაამყარა, თავისი საყვარელი დისტანციაც „იხსნა"?

— სავსებით შესაძლებელია, რომ ასეც იყოს. მძლეოსნობის ისტორიამ იცის ბევრი შემთხვევა, როცა ზოგიერთი სახეობა „გადადგა". თუ გახსოვთ, თავის დროზე ოლიმპიურ პროგრამაში შედიოდა ადგილიდან ხტომა, გუნდური სტაიერული რბენა, ვაქთა ხუთჭიდი. ახლა ეს სახეობები მოიხსნა. შეიძლება ასეთივე ბედი სწვეოდა 80 მეტრზე თარჯრბენსაც. ეს კი ძალიან კარგი, პოპულარული დისტანციაა, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო სიმაღლის გოგონებისთვის. მაღლებისთვის 100 მეტრზე თარჯრბენი უფრო შესაფერისია, ვინაიდან 80 მეტრზე თარჯებს შორის მანძილი ევიწროებათ. მაგრამ რას ვერჩით ტანმორჩილებს? დაე, ორივე დისტანცია თანაბარუფლებიანი იყოს.

— თუ შეიძლება გულახდილად მითხარით, შეუძლია თუ არა ვერას გაიმეოროს ან გააუმჯობესოს თავისივე მსოფლიო რეკორდი?

— გაუჭირდება. ახლა რეკორდებს მხოლოდ იდეალურ პირობებში ამყარებენ, მით უმეტეს, ისეთ ძნელ, როგორც თავად თქვენ უწოდეთ, „ზღვარს მიახლოებულ" რეკორდს. რიგაში, სადაც ვერამ 10,2 აჩვენა, სწორედ ასეთი იდეალური პირობები იყო: ბრწყინვალე ბილიკი, მეტოქეთა კარგი კომპანია, მშვიდი გარემო, შესანიშნავი ამინდი. ფსიქოლოგიური ფონიც ზედმიწევნით ხელსაყრელი გახლდათ. ამასთან, ვერამაც პისტოლეტის გასროლისთანავე აიღო სტარტი. პირველი თარჯის შემდეგ მეტოქეებს (ისინი კი შესანიშნავი თარჯმორბენლები არიან) იგი თითქმის 3 მეტრით ასწრებდა. შემდეგ ჩვენ ვნახეთ მისი რბენის კინოგრამა: არც ერთი ტექნიკური შეცდომა, თარჯის იდეალური „იერიში", ბილიკზე უნაკლო დაშვება, შესანიშნავი სისწრაფე. ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს და ვშიშობ, რომ ვერც ვნახავ.

— ვერც მექსიკაში?

— დიახ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვერამ თავისი რეკორდი წიდოვან ბილიკზე დაამყარა, მექსიკაში კი ბილიკი ტარტანისაა. თარჯმორბენლისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წარმატების საფუძველი სწორი რიტმია. რიტმი კი წიდოვან ბილიკზე ერთია, ბიტუმისაზე — მეორე, ტარტანისაზე — სულ სხვა. არც ვერას, არც მე ტარტანი დღემდე თვალითაც არ გვინახავს. მიუხედავად ამისა, კორსაკოვას ტარტანზე მინიმალური წვრთნითაც შეუძლია და უნდა აჩვენოს კიდეც სტაბილური შედეგები — 10,4-10,5 წამი. ეს მედალია! ვერ გეტყვით, რომელი მედალია.

— ეს პროგნოზია?

— ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული პროგნოზია. შემთხვევითობისგან დაზღვეული არავინაა. ვინ იცის, რა მოულოდნელობა გველის: 80-მეტრიანი დისტანცია მეტად მოკლეა იმისთვის, რომ შეცდომა გამოასწორო, ოლიმპიადაში შეცდომას კი არავინ გაპატიებს. მით უმეტეს არ გაპატიებენ ისეთი მრისხანე მეტოქენი, როგორიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი კ. ბალცერი ან მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი პ. კილბორნი. სხვათა შორის, ოლიმპიური მედლების ბედზე შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ბრძოლამ, რომელიც დღეს ლენინგრადში მთავრდება. მხედველობაში მაქვს სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების მატჩი, რომელმაც ერთმანეთის პირისპირ დააყენა ბალცერი და კორსაკოვა.

— რიგის ცნობილ სტარტამდე კორსაკოვას საუკეთესო შედეგი 10,7 წამი იყო. საოცრად ხომ არ გეჩვენებათ ნახტომი 10,7-დან 10,2-მდე?

— ვერას უნდა იცნობდეთ!

და აი, ვერა გავიცანი. საშუალო სიმაღლე, მუქი თმა, მეტად წყნარი სახე. იგი 27 წლისაა. დაიბადა ყირგიზეთში, დაამთავრა ფრუნზეს ფიზკულტურის ინსტიტუტი. გათხოვილია. მძლეოსნობაში ვარჯიში სოფლის სკოლაში დაიწყო. მერვე კლასში 100 მეტრი 13,0 წამში გაირბინა. შემდეგ რაიონის ჩემპიონი გახდა, მერე — ოლქისა, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში II ადგილი დაიკავა. ინსტიტუტში შევიდა. აქ სპრინტში მეცადინეობდა, თარჯრბენს შემთხვევით მოჰკიდა ხელი: გუნდის ინტერესებისთვის უნდა გამოსულიყო.

პირველი სტარტი — 12,0. ერთი კვირის შემდეგ ყირგიზეთ — აზერბაიჯანის მატჩში ვერამ 11,7 აჩვენა, შემდეგ — 11,4. მაგრამ მერე უბედურება მოხდა — კორსაკოვამ ფეხი მოიტეხა და ამან დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან. 1963 წელს ვერამ ინსტიტუტი დაამთავრა და ქალაქ ჯალალაბადის ბავშვთა სპორტსკოლაში დაიწყო მუშაობა, აქვე განაახლა წვრთნა. 1964 წელმა სპორტის ოსტატის შესაბამისი შედეგი მოუტანა — 10,9. კორსაკოვა პირველად მაშინ შეხვდა ცნობილ ბალცერსაც — ზნამენსკების მემორიალში. მართალია, დამარცხდა, მაგრამ დიდი დრო არ გასულა და თვით ირინა პრესის დამარცხება შეძლო. მიუხედავად ამისა, ვერამ ვერ მიიღო ტოკიოს ოლიმპიადის საგზური, ვინაიდან კიევში, ქვეყნის ჩემპიონატში, რომელიც ტოკიოს ასპარეზობის წინ გაიმართა, მხოლოდ მეოთხე იყო. ისევ წვრთნა... 1966 წელს დაამყარა პირადი რეკორდი — 10,7.

ვერას მწვრთნელმა ვ. პოლუბაბკინმა იცოდა, რაშია ამ სპორტსმენის ძალა — იგი მეტად შრომისმოყვარეა. მწვრთნელმა დაუმუშავა ზამთრის მოსამზადებელი გეგმა, რომელიც ყველას გააოცებს, ვინც კორსაკოვას ამტანობას არ იცნობს. ოქტომბრიდან ივლისამდე იგი დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. დარბოდა კროსს, თამაშობდა კალათბურთს, ბევრს მეცადინეობდა შტანგით, მუშაობდა ტექნიკაზე.

როცა კინოგრამაზე კორსაკოვას სარეკორდო რბენას ვაკვირდებოდი, ყურადღება მივაქციე, რომ თარჯიდან დაშვებისას სპორტსმენი მიწას თითის წვერით ეხება და მაშინვე, ტერფის დაუდგმელად აგრძელებს სირბილს. რა ძალა უნდა ჰქონდეს თითის წვერს ასეთი ტექნიკის დროს! ამის მისაღწევად ვერა მხრებზე 85-კილოგრამიანი შტანგით აკეთებდა ბუქნს, 300 მეტრს ფარავდა ასკინკილათი, 200 მეტრს დარბოდა კედებში 500-გრამიანი ტყვიის საფენებით. და ასე დღე დღეს მისდევდა...

პოლუბაბკინმა ვერას რიგის სტარტისთვის 10,6 დაუგეგმა, ზნამენსკების მემორიალისთვის — 10,5, ქვეყნის ჩემპიონატისთვის — 10,4, მაგრამ გეგმა უკვე რიგის ნახევარფინალის შემდეგ შეიცვალა.

— საოცრად მსუბუქად გავრბოდი,— ჰყვება ვერა. — დისტანციის პირველ ნახევარზე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, გალია კუზნეცოვასთვის გამესწრო. შემდეგ გავიფიქრე, რომ სისწრაფის მომატებაა საჭირო. ფინიშის შემდეგ მქონდა სიმსუბუქის შესანიშნავი გრძნობა, რაღაც ბედნიერების მაგვარი. 10,6 — გადავწყვიტე მე. დიქტორმა შედეგი ლატვიურად გამოაცხადა, გოგონები მოსალოცად მომცვივდნენ — 10,3, პრესის რეკორდის გამეორება. ფინალში თითქმის მივფრინავდი და ამ შედეგს კიდევ 0,1 წამი ჩამოვაჭერი.

ამრიგად, წლეულს პირველი რეკორდი ნადეჟდა ჩიჟოვას ხვდა, მეორე — ვერა კორსაკოვას. ეს წარმატების იმედს ზრდის, რწმენას განამტკიცებს. ვერა (რწმენა), ნადეჟდა (იმედი) — შესანიშნავი სახელებია!

ს. ზენკმანი.

# მასწავლებელი

## ბორის ტახტაროვს 60 წელი შეუსრულდა



პირველად იგი ამ ათი წლის წინ ვნახე. სტადიონზე საწვრთნელ მეცადინეობას ხელმძღვანელობდა. შესანიშნავი სანახაობა იყო: გოგონები 100 მეტრზე რბენაში ვარჯიშობდნენ, ბიჭები — სიმაღლეზე ხტომასა და ბადროს ტყორცნაში. გვიან გავიგე, რომ მათი მწვრთნელი ბორის ტახტაროვი იყო.

შემდეგ ხშირად შევხვედრივარ ამ შესანიშნავ პედაგოგს, მაგრამ სალაპარაკოდ ხელში ვერასოდეს ჩავიგდე. და მხოლოდ ახლა, რედაქციის დავალებით „მოვახერხე" ეს.

— მართალია, ამ ბოლო წლებში ბევრს ვმოგზაურობ, რაიონებში, სოფლებში დავდივარ, შეჯიბრებებს ვესწრები. მე ხომ სპორტულ ინტერნატში ვმუშაობ ახალგაზრდა მძლეოსნებთან, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და მოცლაც ალბათ ამიტომ არა მაქვს, — მითხრა მწვრთნელმა.

ლამაზი და შინაარსიანია ცხოვრება კაცისა, რომელიც ყოველდღიურ შრომაში თავისი გატაცების საგანს ხედავს და შემოქმედებით მისწრაფებას ხორცს ასხამს. სწორედ ასე წარიმართა ბორის ტახტაროვის ცხოვრება, რომელმაც თითქმის 40 წლის წინათ დაიწყო ფიზკულტურის მასწავლებლობა თბილისის 61-ე სკოლაში.

ტახტაროვი 10 წელზე მეტს ხელმძღვანელობდა „მოლნიას" (იყო კავშირგაბმულობის მუშაკთა ასეთი სპორტული საზოგადოება). სხვათა შორის, სწორედ აქ გადადგეს პირველი ნაბიჯები სპორტში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. გურგენიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. თაყაიშვილმა.

ბორის ტახტაროვს კიდევ ერთი დიდი გატაცება აქვს — ჟურნალისტიკა. იგი ხელმძღვანელობდა ინფორმაციის განყოფილებას ამიერკავკასიის პირველ სპორტულ ჟურნალში „ზა სოვეტსკუიუ ფიზკულტურუ". მისი შინაარსიანი, საქმის ცოდნით დაწერილი წერილები ახლაც ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ და ცენტრალურ პრესაში. დემობილიზაციის შემდეგ მან ბავშვებთან დაიწყო მწვრთნელად მუშაობა, დაამთავრა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ კი ფიზკულტურის ინსტიტუტი. ტახტაროვის მოწაფეები იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი, სპორტის ოსტატები ლ. ტუღუში, მ. ქოჩლაძე, ს. როზანოვა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. ლიპჩენიძე.

ამ ათი წლის წინ ბ. ტახტაროვმა თბილისის სპორტულ ინტერნატში დაიწყო მუშაობა, რომელიც მაშინ პირველი იყო სსრ კავშირში. ამ ინტერნატში აღიზარდნენ მძლეოსნები, სპორტის ოსტატები გ. გუდაშვილი, კ. გორძამაშვილი, შ. ართმელაძე, რ. ჩუბინიძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები ჯ. სხულუხია, მ. თათარაშვილი, ც. ჩოლიაშვილი, ც. ლიპარტელიანი.

ინტერნატის ბევრი აღზრდილი ფიზკულტურის ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას. მარტო წლეულს ეს ინსტიტუტი ინტერნატის ხუთმა ყოფილმა აღსაზრდელმა-მძლეოსანმა დაამთავრა. ბევრი უკვე მუშაობს მწვრთნელად სკოლაში, რაიონებში.

ტახტაროვი საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მოზარდთა კომისიის უცვლელი თავმჯდომარეა. იგი აირჩიეს „სპორტის დედოფლის" ფედერაციის მოზარდთა საკავშირო კომისიაშიც.

60 წლის იუბილარის შრომა აღნიშნულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორი საპატიო სიგელით, საქართველოსა და სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირების მრავალი სიგელით. ტახტაროვი დაჯილდოებულია ნიშნებით: „სახალხო განათლების ფრიადოსანი" და „ფიზიკური კულტურის წარჩინებული". 1962 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

დიახ, ბორის ტახტაროვს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი სპორტული მასწავლებელი. იგი იმსახურებს ამ სახელს.

ვ. ბუკინი.

# თბილისელ რკინიგზელთა წარმატებები

ამიერკავკასიის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ნაკრებ გუნდებს კარგა ხანია დაეწყოთ „საზაფხულო სეზიები" — ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატები. მესტენდურეები მოსკოვში ასპარეზობდნენ, წყალბურთელები — კიშინიოვში, კალათბურთელი ვაჟები — როსტოვში, ველოსიპედისტები — ლენინგრადს გაემგზავრნენ, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის ოსტატები — შაულიაიში. რეგბისტები ლოზოვაიას ეწვევიან — აქ ცენტრალური საბჭოს ტურნირის დამთავრების შემდეგ კი ბაქოში ჩავლენ საკავშირო ჩემპიონატის ზონალურ შეჯიბრებაში საასპარეზოდ.

გაგაცნობთ დამთავრებული ტურნირების შედეგებს.

## გამოუყენებელი შესაძლებლობანი

წყალბურთელთა ფინალურ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის რკინიგზელთა ოთხმა საუკეთესო გუნდმა მოიყარა თავი: აქ იყვნენ მოსკოვის, თბილისის, ხარკოვისა და კიშინიოვის კოლექტივები. საქართველოს ჩემპიონს გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოველებთან ჰქონდა. მანამდე მან იოლად სძლია კიშინიოვისა (6:2) და ხარკოვის (10:2) წყალბურთელებს, მაგრამ მოსკოვის გუნდთან დამარცხდა იმის გამო, რომ თავიდან დაწინაურების რამდენიმე ნაღდი შანსი გაუშვა ხელიდან: როცა ანგარიში 2:1 იყო მოსკოველთა სასარგებლოდ, თოთლაძემ და მარგიევმა ზედიზედ ორი 4-მეტრიანი ვერ გამოიყენეს, ხოლო შემდეგ მეკარის პირისპირ გასულმა ჩიკვაიძემ მიზანს ააცდინა.

მატჩი მოსკოვის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა (7:3) და ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა. თბილისელები II ადგილზე დარჩნენ. რამდენიმე თბილისელი შევიდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

## ფინალში — დაუმარცხებლად

როსტოვში გაიმართა კავკასიის ზონის კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მხოლოდ გამარჯვებულს ეძლეოდა. თბილისის მეტრომშენის კოლექტივმა ზონის ფინალში შესანიშნავად ისპარეზა — მოუგო ლენინგრადის (58:44), ხარკოვისა (64:40) და ბაქოს (71:57) გუნდებს და მოიპოვა გადამწყვეტი ბრძოლების საგზური. ფინალი ოდესაში მოეწყობა.

## კარგად ისროდნენ

მესტენდურეები მოსკოვში შეიკრიბნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკთა მაჩვენებლებიც შედიოდა. ადგილიდან სროლაში ყველას აჯობეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომელთა რიგებში გამოდიოდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის 2 ჩემპიონი — ზ. მაჩხანელი და ვ. ალავერდოვი. პირად შეჯიბრებაში იმარჯვა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სარკეების სამქროს ოსტატმა ალავერდოვმა — 185 ქულა 200-დან. მაჩხანელი 183 ქულით II ადგილზე გავიდა. თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტმა ო. ნაზარენკომ ჭაბუკებში III ადგილი დაისაკუთრა, გუნდმა კი ამ ვარჯიშში ჩემპიონობა მოიპოვა.

მრგვალ სტენდზე მსროლელთაგან თავი ისახელა ტ. კაპანაძემ, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი (100-დან 95 ქულა მოაგროვა). ა. დვორნიკოვმა 90 ქულა აჩვენა და სპორტის ოსტატობის კანდიდატობა მოიპოვა. ჭაბუკებში მეორე იყო ს. მირზოიანი. მან I თანრიგის ნორმატივი (85 ქულა) შეასრულა. გუნდი IV ადგილს დასჯერდა, რის გამოც კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა მოსკოვის კოლექტივს დარჩა, თბილისელი ლოკომოტიველები კი II ადგილზე გავიდნენ. მესამე იყო სამხრეთ ურალის რკინიგზის გუნდი.

ო. ივდოშვილი.

# მეხანძრეთა სამი მიღწევა

ბათუმის „დინამოს" სტადიონის სარბენ ბილიკებზე ორ დღეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სახანძრო-გამოყენებით სპორტში საქართველოს პირად-გუნდური პირველობის მონაწილენი. სტარტზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, ახალციხის, მახარაძის, ქობულეთის, ფოთისა და ბათუმის ნაკრები გუნდების 100-მდე სპორტსმენი.

100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა ძირითადად სპორტის ოსტატებმა გ. ბუკიამ (ფოთი), ა. აგაპოვმა (თბილისი), დ. გაბუნიამ (ქუთაისი) და ნ. ახალაძემ (ბათუმი) გააჩაღეს. ფინიშზე ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა გაბუნია — 19,5. ეს ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდია. ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ქუთაისი, 2. თბილისი, 3. ფოთი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ესტაფეტამ 4×100 მეტრზე ცეცხლმოდებული სითხის ქრობით. ყველაზე სწრაფი აქაც ქუთაისის ნაკრები იყო. მისი შედეგი — 1.21,9 საქართველოს წინანდელ რეკორდს სჯობს.

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეოთხე სართულის ფანჯარაში შესვლაში. აქ გუნდური გამარჯვება თბილისელ მეხანძრეებს ხვდათ. II და III ადგილებზე ბათუმისა და ფოთის სპორტსმენები გავიდნენ.

პირად ჩათვლაში იმარჯვა ფოთელმა ბუკიამ — 17,2. ბათუმელი ახალაძე გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა.

საინტერესო იყო შეჯიბრება სამმუხლიანი მოძრავი კიბის მოხსნაში, გადატანაში, დადგმასა და მესამე სართულის ფანჯარაში შესვლაში. აქ ჩემპიონი გახდა თბილისელ სპორტის ოსტატთა დუეტი — დ. ოდიშარია, ა. ჭაბუკიანი. მათ შეჯიბრება 15 წამში დაამთავრეს და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს. შარშანდელი ჩემპიონები გ. კონტრიძე და გ. ქათამაძე (ორივე — მახარაძე) II ადგილზე გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაშიც თბილისელებმა იმარჯვეს. II ადგილზეა ბათუმის, III — ქუთაისის ნაკრები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თბილისის ნაკრებმა (9 საჯარიმო ქულა). 11 ქულით II ადგილზე არიან ქუთაისელი მეხანძრეები. ბათუმის კოლექტივმა 20 ქულით III ადგილი დაიკავა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სსრ კავშირის პირველობა

## „ა" კლასი — II ჯგუფი

### III ქვეჯგუფი

12 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

საქართველოს წარმომადგენლებს გასვლითი თამაშები ჰქონდათ. თბილისის „ლოკომოტივმა" ჩელიაბინსკში ფრიდ ითამაშა ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდთან — 1:1. ტყიბულის „მეშახტემ" დამარცხება განიცადა ყაზანის „რუბინთან" შეხვედრაში — 0:1, ხოლო ბათუმის „დინამომ" — გორკის „ვოლგასთან" — 1:6.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) — 1:0, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „შირაკი" (ლენინაკანი) 4:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:3, „სტროიტელი" (უფა) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 3:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „თერგი" (გროზნო) 2:1, „ზვეზდა" (პერმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:3.

#### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 17 | 9 | 6 | 2 | 18—9 | 24 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 18 | 8 | 8 | 2 | 13—7 | 24 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 18 | 8 | 6 | 4 | 25—14 | 22 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 19 | 8 | 6 | 5 | 19—19 | 22 |
| „ვოლგა" (გორკი) | 18 | 8 | 5 | 5 | 23—13 | 21 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 17 | 6 | 8 | 3 | 18—11 | 20 |
| „დინამო" (ბათუმი) | 17 | 7 | 6 | 4 | 19—15 | 20 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 18 | 7 | 6 | 5 | 16—13 | 20 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 18 | 6 | 7 | 5 | 16—12 | 19 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 18 | 6 | 6 | 6 | 21—13 | 18 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 19 | 5 | 8 | 6 | 22—23 | 18 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 18 | 5 | 8 | 5 | 12—14 | 18 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 17 | 6 | 4 | 7 | 21—21 | 16 |
| „თერგი" (გროზნო) | 18 | 5 | 6 | 7 | 16—18 | 16 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 18 | 4 | 8 | 6 | 12—19 | 16 |
| „სტროიტელი" (უფა) | 18 | 3 | 9 | 6 | 18—22 | 15 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 18 | 4 | 7 | 7 | 16—23 | 15 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 18 | 3 | 8 | 7 | 12—15 | 14 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 16 | 5 | 8 | 8 | 11—17 | 13 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 18 | 1 | 10 | 7 | 13—24 | 12 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 18 | 3 | 5 | 10 | 13—32 | 11 |

## „ბ" კლასი

### რსფსრ-ს III ზონა

განვლილი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „ურალანი" (ელისტა) — „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) 0:2, „სპარტაკი" (ორიოლი) — „უროჟაი" (ლაბინსკი) 1:1, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „ტორპედო" (არმავირი) 1:0, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „უროჟაი" (მაიკოპი) 3:1, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „დაშქინი" (ზაქათალა) 1:1, „ტრუდი" (ენგელსი) — „არაზი" (ნახიჭევანი) 1:1, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 3:0.

რუსთავის „მეტალურგს" გასვლითი მატჩი ჰქონდა ნევინომისკში ადგილობრივ „ხიმიკთან". გამარჯვება წილად ხვდა „მეტალურგს" — 1:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა" (გორი) | 19 | 12 | 5 | 2 | 29—9 | 29 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 19 | 12 | 3 | 4 | 27—6 | 27 |
| „ხიმიკი" (ბალაკოვო) | 19 | 8 | 10 | 1 | 17—7 | 26 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 18 | 10 | 4 | 4 | 27—12 | 24 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 19 | 9 | 4 | 6 | 27—14 | 22 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 19 | 7 | 8 | 4 | 20—15 | 22 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 18 | 7 | 8 | 3 | 11—10 | 22 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 18 | 9 | 3 | 7 | 16—18 | 21 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 19 | 7 | 7 | 5 | 19—17 | 21 |
| „დაშქინი" (ზაქათალა) | 19 | 8 | 5 | 6 | 20—28 | 21 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 19 | 7 | 6 | 6 | 18—13 | 20 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 18 | 7 | 4 | 8 | 21—21 | 18 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 19 | 6 | 6 | 7 | 17—19 | 18 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 18 | 6 | 6 | 6 | 16—19 | 18 |
| „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) | 19 | 5 | 5 | 9 | 13—18 | 15 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 19 | 3 | 8 | 8 | 14—21 | 14 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 17 | 3 | 7 | 7 | 11—17 | 13 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 19 | 4 | 5 | 10 | 11—22 | 13 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 19 | 2 | 9 | 8 | 10—22 | 13 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 19 | 4 | 4 | 11 | 15—27 | 12 |
| „ურალანი" (ელისტა) | 20 | 1 | 4 | 15 | 18—35 | 6 |

## ჩემპიონი, გოლები, ქულები

12 ივლისს საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა — „სპარტაკმა" მიიღო „კაირატი". მოსკოველებმა მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს 2 ქულის აღება. კოკისპირულ წვიმაში მიმდინარე მთელი თამაშის მანძილზე სპარტაკელები მძაფრად უტევდნენ მეტოქის კარს, მაგრამ ბურთი მხოლოდ 88-ე წუთზე გაიტანეს. ეს შეძლეს შესვენების შემდეგ გამოსულმა ახალგაზრდა მოთამაშეებმა: სილაგაძემ საუცხოოდ ჩამოაწოდა კუთხური და პრიბილოვმა ახლოდან ბადეში გაგზავნა ბურთი.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ზარია". მატჩის ანგარიშია 4:0 არმიელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ადამოვმა, აფონინმა, პლახეტკომ და კაპლიჩნიმ.

## „ა" კლასი — I ჯგუფი

#### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 18 | 12 | 4 | 2 | 31—17 | 28 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 9 | 8 | 1 | 22—11 | 26 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 8 | 7 | 3 | 21—10 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 7 | 8 | 2 | 16—5 | 22 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 7 | 3 | 30—17 | 21 |
| ცსკა | 18 | 7 | 6 | 5 | 19—14 | 20 |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 7 | 6 | 4 | 16—11 | 20 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 17 | 5 | 9 | 3 | 16—13 | 19 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 17 | 5 | 9 | 3 | 16—16 | 19 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 19 | 5 | 7 | 7 | 11—22 | 17 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 17 | 6 | 4 | 7 | 14—13 | 16 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 17 | 4 | 8 | 5 | 18—23 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 17 | 5 | 5 | 7 | 12—13 | 15 |
| სკა (როსტოვი) | 17 | 5 | 5 | 7 | 22—25 | 15 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 4 | 6 | 8 | 18—22 | 14 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 18 | 4 | 6 | 8 | 17—30 | 14 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 18 | 4 | 5 | 9 | 13—19 | 13 |
| „არარატი" (ერევანი) | 17 | 3 | 5 | 9 | 12—20 | 11 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 3 | 5 | 10 | 13—25 | 11 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 17 | 2 | 6 | 9 | 7—18 | 10 |

## რაიონებში სპორტსმენები

### ✦ თერჯოლა

მოეწყო რაიონის რვაწლიანი სკოლების პირველობა გაზეთ „წინსვლის" თასზე ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სიქთარვისა და რუფოთის გუნდები. გაიმარჯვეს სიქთარველებმა — 2:0.

3. კახიძე.

### ✦ გულრიფში

დამთავრდა რაიონული შეჯიბრება ნორჩ ფეხბურთელთა შორის „ტყავის ბურთის პრიზზე". უმცროს ასაკში გამარჯვება წილად ხვდა ბაბუშარის საშუალო სკოლის გუნდს. უფროსთა შორის გაიმარჯვეს გულრიფშის საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა.

შ. ჯალალონია.

### ✦ ლანჩხუთი

ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში „ტყავის ბურთის პრიზზე" „კოლმეურნის" სტადიონზე ჩატარდა. გათამაშებაში მონაწილეობდნენ მახარაძის, სამტრედიის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის გუნდები. როგორც უმცროს, ისე უფროს ასაკობრივ კატეგორიაში წარმატება წილად ხვდათ ლანჩხუთელებს.

ი. ებრალიძე.

# ათასი ცალი — ეს ცოტაა!

## წიგნის თარო

ვ. ინაშვილის წიგნს „ავტომობილი", რომელიც „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა 1966 წელს, მკითხველის დიდი მოწონება ხვდა წილად. ამ წიგნში მიმზიდველადაა აღწერილი ავტომობილის წარმოშობისა და განვითარების თავისებური, საინტერესო გზა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრანსპორტის განვითარების ისტორია საქართველოში „ლაზარეს დროშკიდან" დაწყებული, თანამედროვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროდუქციამდე.

ავტორი გასაგებად აღწერს, ცხოვრებისეული, გასაგები მაგალითებით ხსნის ავტომობილის რთული მექანიზმების მოქმედების პრინციპებს. მკითხველი ამ ნაშრომში გაეცნობა თვითნაკეთი ავტომობილების კონსტრუქციის თავისებურებებს და მათ უმარტივეს გაანგარიშებასაც. დაინტერესებული ავტომოყვარულები ბევრს ისწავლიან ამ წიგნიდან.

ვ. ინაშვილი გვიამბობს ავტომობილის მომავალი განვითარების პერსპექტივებზეც: ...„ისინი იქნებიან მაღალი სიჩქარისა, სპეციალურ საქალაქთაშორისო მაგისტრალებზე განავითარებენ 250-300 კილომეტრს საათში"... დაწვრილებითაა განხილული ჯერ უთვლო, შემდეგ ატომური, ელექტროინდუქციური და ელექტროგრიგალური ავტომობილები. მათ აღარ დასჭირდებათ საწვავით ყოველდღიურად გამართვა, მხოლოდ ერთხელ, ქარხნიდან გამოსვლის დროს დაიტვირთებიან 60-გრამიანი ატომური ან 8-გრამიანი თერმოატომგულური საწვავით.

წიგნში ამოიკითხავთ საინტერესო ცნობებს იმის შესახებ, თუ როდის და როგორ შემოუარა პირველად ავტომობილმა დედამიწას, როგორ დაამარცხეს ავტომრბოლელი ჯონ კობი და როგორ გააქროლა ა. არფონსმა თავისი „მწვანე საოცრება" საათში 928 კმ სისწრაფით.

ავტორი მოკლედ გვაცნობს ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესებსაც.

ინაშვილის წიგნი განკუთვნილია როგორც მძღოლებისა და სპეციალისტებისთვის, ისე ავტომოყვარულთა ფართო მასისთვის. მოსაწონია ავტორის მარტივი, დახვეწილი ენა, დამაჯერებელი, მკაფიო მსჯელობა.

კარგია, რომ ქართულ ენაზე ასეთი წიგნი გაჩნდა, საწყენია, რომ „საბჭოთა საქართველომ" იგი 1000 ეგზემპლარად გამოსცა მხოლოდ. ქართველ ავტომობილისტთა მოთხოვნილებას ეს ვერ დააკმაყოფილებს.

ვ. აფრიდონიძე,
ინჟინერი.

# მინდორი გადაგვიხნეს

„ძვირფასო რედაქცია! ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი და გატაცებით ვთამაშობთ ბურთს, მაგრამ, უმჯობესია, ვთქვათ—ვთამაშობდით, ვინაიდან მინდორი გადაგვიხნეს, ხამაგიეროს გამოყოფაზე კი არავინ ფიქრობს".

## ● სიგნალი

ამ წერილს ხელს აწერენ ორჯონიკიძის რაიონის მაქათუბნელი ახალგაზრდები. ვფიქრობთ, მათ სიგნალს სოფლის თავკაცები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — რ. ქარელიშვილს, ხ. მამედოვს, ბ. კვაჭაძეს (სამივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ს. იორდანოვს, ი. ჩხარტიშვილს, გ. გლოველს, შ. აბაშიძეს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი"); **სამბოში** — შ. შაქარაშვილს (კასპის „კოლმეურნე"), გ. ნოზაძეს (ხაშურის „კოლმეურნე"), ო. მაისურაძეს (სოხუმის რაიონის „კოლმეურნე"); **ტყვიის სროლაში** — ა. პოპოვას, ნ. კულიშოვას (ორივე — სოხუმის „დინამო"); **აკრობატიკაში** — ე. ალთუნაშვილს, ჯ. ვართანოვს, ნ. დუნდუას (სამივე — თბილისის „სპარტაკი"); **ტანვარჯიშში** — ს. კურგანსკაიას, ნ. სმაგინას, ც. ჩოხელს (სამივე — თბილისის „განთიადი").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ს. ბახტაძეს (თბილისი); **კრივში** — მ. კვირიკველიას (სოხუმი); **ბადმინტონში** — გ. ამირხანოვს (თბილისი); **მაგიდის ჩოგბურთში** — ი. ნაცვლიშვილს (ქუთაისი).



ტალინში საგზატკეცილო-წრიულ ტრასაზე ჩატარდა ავტომოტორბოლა „კალევის" პრიზზე. შეჯიბრებაში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აგრეთვე, ფინეთის სპორტსმენები.

სურათზე: ფინელი მრბოლელები შეჯიბრებისას.

ფოტო პ. კუზნეცოვისა (ხაკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

● მეხიკო, 12 ივლისი. მას შემდეგ, რაც მექსიკის XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ავღანეთისა და სპილოს ძვლის ნაპირის განაცხადები ოლიმპიადაში ასპარეზობის თაობაზე, მომავალი თამაშების მონაწილე ქვეყნების რიცხვმა 108-ს მიაღწია. ეს 14 ქვეყნით მეტია ტოკიოს ოლიმპიადასთან შედარებით. საორგანიზაციო კომიტეტმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ იგი კიდევ 8 სახელმწიფოს განაცხადებს მოელის.

● ლეუვერდენი (ჰოლანდია), 12 ივლისი. სსრ კავშირის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ჰაიტის 12 წარმომადგენლის მონაწილეობით აქ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. 3 ტურის შემდეგ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) და ჰოლანდიის ჩემპიონი ა. ვიერსმა — 2,5-2,5 ქულა. ჰოლანდიის ჩემპიონთან წაგების მიუხედავად, ახალგაზრდა მინსკელი ა. განტვარგი 2 ქულით III-IV ადგილებს იყოფს მსოფლიო ჩემპიონთან ა. ანდრეიკოსთან (რიგა). ტურნირი 20 ივლისამდე გასტანს.

● სკოპლე, 13 ივლისი. გროზნოელმა სტუდენტმა ნ. ოვჩინიკოვამ, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველად ასპარეზობს მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებით, იუგოსლავიის ამ ქალაქშიც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი — 29,15 ქულით პირველობა მოიხვეჭა. II ადგილი წილად ხვდა კოპენჰაგენის აბსოლუტური მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედლის ლაურეატს უ. ლემანს (გდრ) — 28,80. III-IV ადგილები გაიყვეს ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა — სვერდლოვსკელმა ა. ნაზმუტდინოვამ და გორკელმა ნ. სერგეევამ — თვითეულმა 28,60 ქულა მოაგროვა. საბჭოთა ქალებმა დამაჯერებლად აჯობეს ყველას გუნდურ ჩათვლაშიც — 86,35 ქულა. გდრ-ის წარმომადგენლებს 84,55 ქულა აქვთ.



„ხმელი ფოთოლი“.

ფოტოეტიუდი ა. კაკაბაძ...

## [illegible]

ბოსტადი (შვეცია). სკანდინავიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში.

ქალთა ერთეულები. პირველი წრე. ო. მოროზოვა (სსრ კავშირი) — მ. სტრანდბერგი (შვეცია) 6:1, 6:2. ქალთა წყვილები. ე. ლუნდკვისტი (შვეცია), მოროზოვა— მ. ბიონსტრიომი, ე. ლეიონჰუფვუდი (ორივე — შვეცია) 6:2, 6:0.

ვაჟთა ერთეულები. ი. ცირიაკი (რუმინეთი) — ტ. კოხი (ბრაზილია) 6:4, 4:6, 6:2, 6:1, ი. ლეშლი (დანია) — მ. ორანტესი (ესპანეთი) 5:7, 6:3, 7:5, 7:5. ვაჟთა წყვილები. ა. ეში, ტ. გრებნერი (ორივე — აშშ) — ცირიაკი, დ. დელი (აშშ) 6:3, 9:7, კოხი, ე. მანდარინო (ბრაზილია) — ლეშლი, ტ. ულრიჰი (დანია) 6:3, 10:8.

## [illegible]

ბოსტადი (შვეცია), 13 ივლისი. სკანდინავიის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე ახალგაზრდა მოსკოველმა ჩოგბურთელმა ო. მოროზოვამ მეორე წრეში დაამარცხა ი. ლოფდალი (შვეცია) — 8:6, 6:3. ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა ფარ-ხმალი დაყარა ამერიკელ ა. ეშთან — 2:6, 9:11, 4:6.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## უვეტერანებოდ

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მიავლინოს მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 23 წელი.

ბუდაპეშტში გამოცხადდა მექსიკაში წასვლის კანდიდატთა სია. მეკარეები — ფატერი, სარკა, ბიჩკეი, მაიდუ, ბოლემანი; დაცვა — კეგლოვიჩი, კელემენი, დუნაი I, რუმინსკი, ნოვაკი, პანჩიჩი, ფეიეში, ჰუნიადი; ნახევარდაცვა — სალი, მენცელი, სიუჩი, დუნაი III, ნოსკო, შიპანი; თავდასხმა — პუსტაი, ვარგა, კოზმა, ფაზეკაში, ბრანიკოვიჩი, ბასტი, ვარშანი, ნადი, კოჩიში, დუნაი II.

## ოთხთა ტურნირი რიო-დე-ჟანეიროში

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ აგვისტოში რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდება „კუადრანგულარი“ (ოთხთა ტურნირი). მასში მონაწილეობას მიიღებენ ლისაბონის „ბენფიკა“, მონტევიდეოს „ნასიონალი“ და რიო-დე-ჟანეიროს ორი გუნდი — „ფლამენგო“ და „ამერიკა“.

## ქალებიც თამაშობენ

იტალიაში შეიქმნა ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, რომლის სპეციალურმა კონგრესმა ვიარეჯოში აირჩია ფედერაციის ორი ხელმძღვანელი: ლ. მირაპელი (რომი) და ჯ. მაცონი (ვიარეჯო).

ფედერაციის დადგენილებით ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა იტალიის ჩემპიონატი ქალთა შორის (16 გუნდი). მონაწილენი დაიყოფიან ორ ჯგუფად. გამარჯვებულები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს ჩემპიონის გამოსავლენად.

## შიონის გეგმები

მსოფლიო ჩემპიონების — ინგლისელებისა (1:0) და ექს-ჩემპიონების — ბრაზილიელების (2:1) დამარცხების მიუხედავად, გფრ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰ. შიონმა განაცხადა, რომ მისი გუნდის თამაშში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები და საჭიროა ნაკრების გაახალგაზრდავება.

შიონი აპირებს საერთაშორისო თამაშების მთელი სერიის მოწყობას. დეკემბერში გუნდი იმოგზაურებს ლათინურ ამერიკაში. 14 დეკემბრისთვის დანიშნულია მატჩი რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიელებთან, 18 დეკემბერს — სანტ-იაგოში ჩილიელებთან, ხოლო 21-ში მეხიკოში — მექსიკელების წინააღმდეგ.

შიონმა განაცხადა, რომ ამერიკაში გაემგზავრებიან ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები, რომელთაც საერთაშორისო შეხვედრათა დიდი გამოცდილება არა აქვთ.

## ბერგმარკის ჩივის

შვეციის ნაკრების ხელმძღვანელმა ო. ბერგმარკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ იგი დიდი პრობლემის წინაშე დგას, ვინაიდან შვეციის საუკეთესო ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ და ნაკრებს აღარ გამოადგებიან. ესენი არიან ცნობილი თავდამსხმელები კინდვალი, პერსონი, ლარსონი, მაგნუსონი და გრანი.

ბერგმარკმა ჟურნალისტებს შესჩივლა, რომ ამ ფეხბურთელებს კლუბები არ ათავისუფლებენ, რათა დროდადრო მაინც ითამაშონ თავიანთი ქვეყნის ნაკრებში.

## მოკლედ

● რომი. „რომას“ მწვრთნელმა ე. ერერამ განაცხადა, რომ მან თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხა „ინტერის“ ორი ყოფილი მოთამაშე — მარჯვენა გარემარბი დამატო და ნახევარმცველი ბენიტეზი.

● ბრიუსელი. ბელგიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულია გოეტჰალსი.

● ბონი. როგორც ერთ-ერთმა სპორტულმა გამომცემლობამ განაცხადა, მისი დავალებით გფრ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 47 წლის ფ. ვალტერი უკვე მეცხრე წიგნს წერს მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე, სადაც გერმანელებმა I ადგილი დაიკავეს.

● მადრიდი. ჯილდო სეზონის საუკეთესო მეკარისთვის, ე. წ. „ზამორას თასი“ გადაეცა მადრიდის „რეალის“ მოთამაშე ჟონკუერას.

● პრაღა. ჩეხოსლოვაკიური ფეხბურთის ვეტერანმა ი. მასოპუსტმა დაწერა მოგონებები — „10 ოქროს ბურთი“. მისი დიდი ნაწილი ეთმობა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატს, სადაც ჩეხოსლოვაკიელებმა ვერცხლი მოიხვეჭეს.



▲ ინსბრუკის საერთაშორისო ტურნირში ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, გფრ-ისა და შვეციის ოლიმპიელი მოცურავეები მონაწილეობდნენ. ბულგარელმა მ. ნიკოლოვამ მოიგო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით (5.02,6) და კომპლექსური (5.36,7) ცურვა. მან ორივე დისტანციაზე თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა.

▲ ამერიკელმა ჯ. ფრეზერმა მძიმე წონის პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა მე-10 რაუნდში მოუგო მექსიკელ მ. რამოსს.

▲ მჩატე წონის დომინიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ კ. კრუზმა 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით სძლია ხ. ორტის (პუერტო-რიკო) და მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

▲ ჩეხოსლოვაკიის ტანვარჯიშის ფედერაციამ ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ გამოაქვეყნა შემადგენლობა ნაკრებისა, რომელიც მეხიკოს ოლიმპიადაში გამოვა. გუნდის კანდიდატებად ჩაირიცხნენ: ჩასლავსკა, რიმნაჩოვა, სკლენიკოვა, კრაიჩიროვა, ლიშკოვა, კოსტალოვა, ფორლიჩკოვა, ვახოვა, კუბიჩკოვა.

▲ დიდი ბრიტანეთის ველოსპორტის ფედერაციამ წამოაყენა წინადადება, რომ ველოსპორტში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი იყოს.

# სამთა მატჩ...

ლენინგრადი, 13 ივლისი. დ... აქ დაიწყო სსრ კავშირის, გდრ-... და პოლონეთის მძლეოსანთა ნ...რები გუნდების საერთაშორისო ...ტჩი. 400 მეტრზე ქალთა რბე... ფინიშთან სსრ კავშირში წლევან...ლი სეზონის საუკეთესო შედე... პირველი იყო ი. ვერბელე — ... სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯო... მოსკოველმა ი. ტერ-ოვანესიანმა... 798 სმ. სსრ კავშირის რეკორდსმ...მა ვ. საპეიამ მოიგო 100 მეტრ...რბენა — 10,3. მსოფლიოს რეკო...დსმენმა ვ. კორსაკოვამ 80 მეტ...თარჯრბენში დაამარცხა ოლიმპი...რი ჩემპიონი კ. ბალცერი (გდ... გამარჯვებულის დროა 10,7. 3.0... მეტრზე რბენა მოიგო ვ. კუდი...კომ (სსრ კავშირი) — 8.18,8.

მოგვყავს სხვა სახეობებში გამა...ჯვებულთა შედეგები: ვაჟებ... ბირთვის კვრა. დ. ჰოფმანი (გდ...) — 19,73 მ; 400 მ. ი. ბალახოვს... (პოლონეთი) — 46,4. ქალებ... 100 მ. ი. კირშენშტეინი-შევინს... (პოლონეთი) — 11,2; შუბი. დ. ტ...რკოვსკა-იავორსკა (პოლონეთი) — 57 მ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „იბნის“ სტადიონი. დღეს: საქართველოს პირველობა. „იბანი“ (თბილისი)— „დურუჯი“ (ყვარელი). დასაწყისი 17 ს. 30 წ. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია). დასაწყისი 18 ს.





ნახ. გ. გიგაურისა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 93-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 93-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-95-14. ფოტოლაბორატორია — 93-95-16, მემანქანეთა ბიურო — 93-95-1' გამომშვები — 93-93-81

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8

უე 07627